ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 248820/12

"23" 08 2016 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, (სექტორი-მთაწმინდა), რუსთაველის გამზ. №2/4-ში, თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე, რუსთაველის გამზ. №2/4-ში (ნაკვეთი 065/009) (საკ. კოდი №01.15.05.065.008) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (ფართის რეკონსტრუქცია (მიშენება-დაშენება)) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №2062113 13.08.2016წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, (სექტორი-მთაწმინდა), რუსთაველის გამზ. №2/4-ში, თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე, რუსთაველის გამზ. №2/4-ში (ნაკვეთი 065/009) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

+0.30 ნიშნულზე შეცვლილია შიდა კიბის ფორმა. ასევე შევცვლილია შენობის გარე კედლის ფორმები. შენობა შემცირებულია სიგრძეში ერთი მალით, კერძოდ „ა-ბ“ ღერძი გაუქმებულია. შენობა ასევე შემცირებულია „2-3“ ღერძში 0.30 მ-ით. შეცვლილია კონსტრუქციული ფერმის ნახატი. „ი-ა“ ფასადის მხრიდან „1-1“ ღერძზე „ე-დ“ მონაკვეთში მოწყობილია საჰაერო და გამწოვი მილები. სახურავზე +3.91 ნიშნულზე არ არის მოწყობილი ხელოვნური ბალახის ხალიჩა.

„1-3“ ფასადი: ვიტრაჟი მონაცვლებულია, შეცვლილია მისი გაბარიტები, ვიზუალი და გაუქმებულია საფეხურები. შეცვლილია კედლის ფორმა და სარეკლამო წარწერები არ არის მოწყობილი.

„3-1“ ფასადი: ±0.00 ნიშნულზე „2-2“ ღერძთან შემცირებულია ვიტრაჟის გაბარიტი და გაზრდილია ხით მოპირკეთების გაბარიტები. მოწყობილია დეკორატიული ქანდაკებები და შეცვლილია წარწერის ვიზუალი.

„ა-ი“ ფასადი: +0.80 ნიშნულზე შეცვლილია ვიტრაჟების ვიზუალი და გაბარიტები. ასევე პარაპეტი გაზრდილია სიმაღლეში. +3.91 ნიშნულზე „ე-ა“ მონაკვეთში შეცვლილია კედლის ფორმა, გაბარიტები და დამატებულია ერთი ფანჯარა. სახურავზე მოწყობილია ტექნიკური აგრეგატი.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. „კავშირი თბილისის თეატრალური ცენტრი“-ს, ქ. თბილისში, (სექტორი-მთაწმინდა), რუსთაველის გამზ. №2/4-ში, თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე, რუსთაველის გამზ. №2/4-ში (ნაკვეთი 065/009) (საკ. კოდი №01.15.05.065.008) მდებარე

მშენებლობადამთავრებული ობიექტის (ფართის რეკონსტრუქცია (მიშენება-დაშენება)) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №248820/12 12.07.2016წ. განცხადება.

სამსახურის უფროსის მოადგილე **გიორგი გეჯაძე**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ზედამხედველობის საქალაქო
სამსახური

KA980106021890416

№16/221370

24 / აგვისტო / **2016** წ.

ავთანდილ ვარსიმაშვილი 01019003546
ი. აბაშიძის 64, ბინა23
577245580

ბატონო ავთანდილ,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი #248820/12 განცხადების პასუხად გეგზავნებათ ბრძანება ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

დანართი: ბრძანების 1 (ერთი) ეგზემპლარი

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის
უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე